
იურიდიული ლიტერატურის მიმოხილვა

მარიამ ცისკაძე, ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება
თბილისი (მერიდიანი), 2001, 74, ISBN 99928-22-47-3.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესს თან ახლავს ქვეყანაში მრავალი ახალი ინსტიტუტის დამკვიდრება. მათ შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვანს დაზღვევის ინსტიტუტის ჩამოყალიბება წარმოადგენს. საქართველოს მოსახლეობის დაბალი „სადაზღვევო კულტურა“, რაც, გარკვეულწილად, შესაბამისი ინფორმაციის ნაკლებობითაა განპირობებული, ხელს უშლის აღნიშნული ინსტიტუტის განვითარებას. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მარიამ ცისკაძის ნაშრომი „ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება“.

ავტორი მიმოიხილავს და კომენტარს უკეთებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამის მუხლებს, აგრეთვე დაზღვევის მარეგულირებელ სხვა კანონებს და მრავალი საინტერესო მაგალითის მოშველიებით მკითხველისათვის თვალსაჩინოს ხდის სადაზღვევო ურთიერთობის სხვადასხვა მნიშვნელოვან ასპექტს.

ავტორი თანამედროვე, ძირითადად, რუსულ და გერმანულ ლიტერატურაზე დაყრდნობით (რომლის ჩამონათვალი მონოგრაფიის ბოლოშია მოცემული) აანალიზებს ნებაყოფლობითი დაზღვევის ხელშეკრულების ცნებას, პირობებსა და ფორმებს, გადაზღვევასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ნაშრომი შედგენილია მოკლე სახელმძღვანელოს სახით და საინტერესოა როგორც იურიდიული სასწავლებლების სტუდენტთათვის, ისე აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ ნებისმიერ პირთათვის, მითუმეტეს, რომ ქართველი მკითხველი არ არის განეხივრებული იურიდიული ლიტერატურით ამ სფეროში.

ნინო ჩოხელი

ზურაბ ადეიშვილი/გერდ ვინტერი/დიმიტრი ქიტოშვილი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი

თბილისი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე), 2002, 383, ISBN 9992895136

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიღების დროს ბევრი ითქვამის მნიშვნელობაზე, პროგრესულობაზე, ერთი მხრივ, დემოკრატიული სახელმწიფოს იერარქიაში არსებულ და, მეორე მხრივ, სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობების მომწესრიგებელ კანონზე. შემდგომ ნათელი გახდა, რომ საქართველოსათვის ეს სრულიად ახალი, სამართლებრივი რეგულირების მექანიზმი ცოტა ბუნდოვანი იყო, როგორც საჯარო მოხელეებისათვის, ისე სხვა მოქალაქეებისთვის და რეალურად არსებული ურთიერთობები არ შეესაბამებოდა კოდექსში ასახული დებულებების მოთხოვნებს. უდავოდ საჭირო იყო კოდექსში მოცემული სამართლებრივი ნორმების განმარტება, მათი დანიშნულებისა და არსის ანალიზი და უფრო მარტივად გადმოცემა. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ მიზანს ემსახურება ზურაბ ადეიშვილის, გერდ ვინტერისა და დიმიტრი ქიტოშვილის ერთობლივი ნაშრომი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი“.

აღნიშნული ნაშრომი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პირველი კომენტარია, რაც მას განსაკუთრებულ დატვირთვას ანიჭებს. ადმინისტრაციული სამართლის სფერო-

ში ქართული დოქტრინალური ნაშრომების სიმცირის პირობებში, მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება, თანაც არა მარტო მეცნიერებისა და პრაქტიკოსი იურისტებისათვის, არამედ, თვით კოდექსის შინაარსისა და დანიშნულებიდან გამომდინარე, უფრო ფართო საზოგადოებისთვისაც.

კომენტარის სტრუქტურა ემთხვევა თვით კოდექსის სტრუქტურას და მიზნად ისახავს კანონის მუხლობრივ განმარტებას. თითოეულ მუხლში მოცემული დებულების ინტერპრეტაციისათვის ავტორები გვთავაზობენ მოსაზრებებს, მაგალითებს, თუ რა ურთიერთობებს როგორ აწესრიგებს ესა თუ ის ნორმა. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ კომენტარის ავტორები იყვნენ თავად კოდექსის პროექტის ავტორებიც, უნდა ჩაითვალოს, რომ მათი ხედვა მაქსიმალურად მიახლოებულია კანონმდებლისასთან.

კოდექსის მუხლების განმარტებისას იგრძნობა სასამართლო პრეცედენტებზე დაფუძნებული მსჯელობის სიმცირე. თუმცა ავტორთა მოსაზრებები ხშირად ეყრდნობა გერმანიისა და ჰოლანდიის სასამართლო პრაქტიკას, კომენტარში პრაქტიკულად არ არის განხილული კონკრეტულ საქმეებზე საქართველოს სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები.

როგორც თავად ავტორებიც აღნიშნავენ, ნაშრომი საინტერესო და სასარგებლოა, რამდენადაც ცდილობს, მეცნიერებაში, სასამართლო პრაქტიკასა და, ზოგადად, საზოგადოებრივ ურთიერთობებში გაამარტივოს იმ ახალი მიდგომის დამკვიდრება, რომელსაც მიზნად ისახავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.

დავით ბაზერაშვილი

პაატა ცნობილაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი
თბილისი, 2002, 235.

“საქართველოს კონსტიტუციური სამართლის” სახელმძღვანელოს სახით გამოცემა, რომელსაც ავტორის მიერ წაკითხული ლექციების კურსი დაედო საფუძვლად, სასიამოვნო სიახლეა არა მარტო იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, არამედ ამ დარგით დაინტერესებული მკითხველისთვისაც.

საინტერესოა ტერმინ „კონსტიტუციური სამართლის“ დამკვიდრების მცდელობა ქართულ იურიდიულ მეცნიერებასა და პრაქტიკაში. საბჭოთა პერიოდის საქართველოში გამოიყენებოდა ტერმინი „სახელმწიფო სამართალი“. თუმცა ავტორი, ერთი შეხედვით, ამ ორ ტერმინს შორის პრინციპულ განსხვავებას ვერ ხედავს, მაგრამ საფუძვლიანი არგუმენტების მოყვანით უპირატესობას მაინც „კონსტიტუციურ სამართალს“ ანიჭებს.

სახელმძღვანელოში აღწერილია საქართველოს კონსტიტუციური სამართლის ცნება და არსი, მისი ინსტიტუტები და ნორმები, მოთხრობილია ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორია და გაანალიზებულია საქართველოს 1921 წლის და საბჭოთა პერიოდის კონსტიტუციები.

ნაშრომში დეტალურად არის აღწერილი სახელმწიფო მმართველობის ფორმები, ტერიტორიული მოწყობა, პოლიტიკური რეჟიმი, საზოგადოებრივი წეს-წყობილების ცნება, სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობის ხასიათი და პრინციპები, არჩევნების ცნება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხელისუფლების დანაწილებას, როგორც სახელმწიფოს დემოკრატიული ორგანიზაციის ფუძემდებლურ პრინციპს. ყველა ეს საკითხი საქართველოს მაგალითზეა განზოგადებული. დაწვრილებით არის გაანალიზებული საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის ყველა ის მუხლი, რომელშიც ასახვა ჰპოვა ზემოაღნიშნულმა საკითხებმა და პრინციპებმა. ამას გარდა, ავტორი საფუძვლიანად მიმოიხილავს საქართველოს სახელმწიფო ორგანოთა სისტემას, საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის კომპეტენციასა და სამართლებრივ სტატუსს, სასამართლო ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების კონსტიტუციურ პრინციპებს საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და მათი ორგანიზაციის წესი საქართველოს კონსტიტუციური სამართლით რეგულირებულ უმნიშვნელოვანეს საკითხებს წარმოადგენს, ავტორს ისინი შეგნებულად არა აქვს განხილული თავის ნაშრომში. ამის ობიექტური მიზეზია ის, რომ საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, მათი მოწესრიგება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციური კანონით, საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ავტორი არ აცხადებს პრეტენზიას ყველა საკითხის სრულ და ამომწურავ შესწავლასა და ანალიზზე, ეს ნაშრომი დადებითად უნდა შეფასდეს საქართველოს კონსტიტუციური სამართლის კურსის სისტემატიზაციის თვალსაზრისითაც.

ზურაბ ბექიაი

თამარ ჩიტოშვილი, აგრარული სამართლის საკითხები
თბილისი (მერიდიანი), 2002, 223, ISBN 999-28-32-61-4

აგრარული და სასოფლო-სამეურნეო კანონმდებლობის მოდერნიზაცია ამ სფეროში საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე სრულფასოვანი გადასვლის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა. როგორც ცნობილია, გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელია ამა თუ იმ სფეროში მოქმედი ძველი და ახალი სამართლებრივი ნორმების აღრევით გამოწვეული ბუნდოვანება და არათანმიმდევრობა. ავტორი ცდილობს, და საკმაოდ წარმატებულადაც, არსებულ მდგომარეობაში ნათელის შეტანას. მოცემული ნაშრომი წარმოადგენს საკმაოდ დეტალურ მიმოხილვასა და კომენტარს არსებული აგრარული ურთიერთობების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ზოგადად აგრარული სამართლის ნორმების ჩამოყალიბების ისტორიის შესახებ.

მკითხველს ავტორი სთავაზობს მოსაზრებას, რომ დღევანდელი ქართული სამართლის რეალობაში აგრარული სამართალი ვერ შეისწავლება, როგორც დამოუკიდებელი, ცალკე ჩამოყალიბებული დისციპლინა იმდენად, რამდენადაც მისი ცალკეული ნაწილები გაბნეულნი არიან სხვადასხვა უწყებათა მიერ სხვადასხვა დროს მიღებულ ნორმატიულ აქტებში. მაგალითად, პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებში, აღმასრულებელი ხელისუფლების კანონქვემდებარე აქტებსა და მთავრობის (მინისტრთა კაბინეტის) დადგენილებებში, დეკრეტებში და ა.შ. ავტორის აზრით, აგრარული სამართალი კომპლექსურად შესასწავლ დარგს წარმოადგენს, რომელიც ერთგვარ სისტემატიზაციას საჭიროებს, რაშიც ძნელია მას არ დაეთანხმო.

ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს მინის საკუთრების ინსტიტუტის განვითარებასა და მისი მარეგულირებელი პროცედურების დახასიათებას. იგი დეტალურად აღწერს აგრარული სისტემის სამართლებრივ საფუძვლებს, მინის გასხვისების, გამოსყიდვისა თუ საკუთრების უფლების გადასვლის სხვა პროცედურებს.

ასევე, განხილულია მინის სარეგისტრაციოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და მინის რეგისტრაციის შესახებ კანონის მოთხოვნები და პროცედურები. ავტორი, აგრეთვე, აკეთებს საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებისა და საქართველოში არსებული მინათ-სარეგებლობის საიჯარო პრაქტიკის შედარებით ანალიზს. აგრეთვე, დახასიათებულია სასოფლო-სამეურნეო მინის სერვიტუტის ინსტიტუტის ისტორიული საფუძვლები და მისი დღევანდელი ფორმები. დასასრულ, განხილულია სასოფლო-სამეურნეო მინის გადასახადების ოდენობის განსაზღვრისა და არსებული და შესაძლო შედეგები.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორი უმეტესწილად დუმს არსებული კანონმდებლობის შესაძლო ეფექტიანობასა თუ ძალაში მყოფი ნორმების მიერ ამ დარგში მოქმედ ეკონომიკურ სუბ-

იექტათვის შექმნილ მოტივაციებზე, წინამდებარე ნაშრომი არის მცდელობა აგრარული სამართლის დარგში მოქმედ ნორმათა ლოგიკური დაკავშირებისა და ამ სფეროში არსებულ სამართლებრივ ვაკუუმზე მინიშნებისა. თუმცა ავტორი ხშირად ახორციელებს ძალაში მყოფი კანონმდებლობის დეტალურ აღწერას, ნაშრომი გასაგებია არასპეციალისტი მკითხველისათვის და შეუძლია გაუწიოს პრაქტიკული დახმარება აგრარულ და სასოფლო-სამეურნეო საკითხებში გათვითცნობიერების ყველა მსურველს.

ნიკოლოზ რურუა

ბიბლიოგრაფია

1998-2001 წლებში „ქართული სამართლის მიმოხილვაში“ გამოქვეყნებული სტატიების სრული სია

ამირანაშვილი, გივი: ფედერაციული და უნიტარული (დეცენტრალიზებული) სახელმწიფოების კონსტიტუციურ-სამართლებრივ თავისებურებათა ზოგადი დახასიათება, 2001 წლის პირველი კვარტალი
ამირანაშვილი, გივი: სამშვიდობო ოპერაციების სამართლებრივ-პოლიტიკური ასპექტები, 1999 წლის მესამე კვარტალი

ახვლედიანი, ზურაბ: ანდერძით მემკვიდრეობის ზოგიერთი საკითხი საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, 1998 წლის მეორე-მესამე კვარტალი

ბარნევიცი, ალექსანდრე: ადგილობრივი მრეწველობის დაცვა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის უსაფრთხოების ზომების შესახებ შეთანხმების საფუძველზე, 1999 წლის მესამე კვარტალი

ბარნევიცი, ალექსანდრე: ინვესტიციები საქართველოში – სამართლებრივი საკითხები, 1998 წლის მეოთხე კვარტალი

ბარნევიცი, ალექსანდრე/კერესელიძე, დავით: საქართველოს სამართლებრივი სისტემის განვითარება 1997 წლიდან

ბეჟუაშვილი, გელა: თვითგამორკვევის, ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპების ურთიერთქმედება, 1998 წლის მეორე-მესამე კვარტალი

ბრანდტი, ანდრეას: საერთაშორისო სავაჭრო პალატის ახალი საარბიტრაჟო წესები, 1998 წლის მეორე-მესამე კვარტალი

გაბრიჩიძე, გაგა: ევროპის გაერთიანების სასამართლოს გადაწყვეტილებები ინსტიტუციონალური ნონასწორობის პრინციპთან მიმართებაში, 1999 წლის მეოთხე კვარტალი

გაბრიჩიძე, გაგა: პორტუგალიის რესპუბლიკის კონსტიტუცია და ევროპის გაერთიანების სამართალი, 2000 წლის პირველი-მეორე კვარტალი

გამყრელიძე, სულხან: რამდენიმე შენიშვნა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონთან დაკავშირებით, 2000 წლის მესამე-მეოთხე კვარტალი

გამყრელიძე, სულხან: საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ: საფუძვლები და მოკლე მიმოხილვა, 1998 წლის მეორე-მესამე კვარტალი

გახოკიძე, ჯემალ: „ისტორიული გეოგრაფია“ და ქვეყნის უსაფრთხოება, 2001 წლის მეორე კვარტალი

გახოკიძე, ჯემალ/გარაყანიძე, ზურაბ: ეკონომიკური უსაფრთხოების ადგილი და როლი ქართული სახელმწიფოს ფორმირებაში, 2001 წლის მესამე-მეოთხე კვარტალი

გენაძე, გია: კონსტიტუციური მართლმსაჯულება და პოლიტიკა?! (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მაგალითზე), 1999 წლის პირველი-მეორე კვარტალი

გიულაი, ანდრეა/ცვეტკოვი, ოლაფ: უნგრეთის კანონი „სარეკლამო საქმიანობის შესახებ“ ევროპული გაერთიანებების სამართალთან ჰარმონიზაციის თვალსაზრისით, 1998 წლის მეოთხე კვარტალი

ბიბლიოგრაფია

გოგიაშვილი, გიორგი: კომპეტენციის გამიჯვნა ფედერალურ სახელმწიფოში, 2001 წლის მეორე კვარტალი

გოგიაშვილი, ნანა/გვილაგა, მზია/თურმანიძე, ოთარ/იულიხი, რაღფ: გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის განხორციელების მიმოხილვა, 1999 წლის მეოთხე კვარტალი

ეზუგბაია, ზურაბ: ზოგიერთი საკითხი ადგილობრივი თვითმმართველობის ჩრდილო-ევროპული (სკანდინავიური) სისტემის ზოგადი მიმოხილვისათვის, 2001 წლის მესამე-მეოთხე კვარტალი

ზაალიშვილი, ვახტანგ: სახელმწიფოებო ვალდებულებებისადმი გამოსაყენებადი სამართლის შესახებ რომის კონვენციის ძირითადი საფუძვლები, 2001 წლის პირველი კვარტალი

ზოიძე, ბესარიონ: ქართული ვალდებულებითი სამართლის სისტემა და პრინციპები, 2000 წლის მესამე-მეოთხე კვარტალი

ზოიძე, ბესარიონ: საერთო (ინგლისურ-ამერიკული) სამართლის გავლენა ქართულ სამოქალაქო კოდექსზე, 1999 წლის პირველი-მეორე კვარტალი

ზოიძე, ბესარიონ: საკუთრების ცნება ქართულ სამოქალაქო კოდექსში, 1998 წლის მეორე-მესამე კვარტალი

ზოიძე, ბესარიონ: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემა, 1998 წლის პირველი კვარტალი

ინგლისი, კრისტინი: ევროპულ შეთანხმებათა ურთიერთშედარება ევროპულ კავშირთან მიერთების წინა ეტაპზე მათი რეორიენტაციის თვალსაზრისით, 2001 წლის პირველი კვარტალი

კახნიაშვილი, ავთანდილ: მენარმეთა შესახებ კანონის სრულყოფისათვის, 1999 წლის მეოთხე კვარტალი

კახნიაშვილი, ავთანდილ: რეალურად დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლო – ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტი, 1998 წლის მეოთხე კვარტალი

კერესელიძე, დავით: საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის გამოყენების სფერო და პირობები, 1998 წლის მეორე-მესამე კვარტალი

კნიპერი, როლფი: საკანონმდებლო ტექნიკის საკითხისთვის, 1998 წლის პირველი კვარტალი

კნიპერი, როლფი: საარბიტრაჟო სასამართლოსა და სახელმწიფო სამართალწარმოების შედარება, 1998 წლის პირველი კვარტალი

კნიპერი, იულიტ: კანონის ინტერპრეტაცია, როგორც მოსამართლეების მიერ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, 1999 წლის მეოთხე კვარტალი

კორკელია, კონსტანტინე: საკონსტიტუციო სასამართლო და საერთაშორისო ხელშეკრულებები, 1998 წლის მეოთხე კვარტალი

კორკელია, კონსტანტინე: ადამიანის უფლებათა დაცვა საგანგებო მდგომარეობის დროს: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი, 2000 წლის მესამე-მეოთხე კვარტალი

კორკელია, კონსტანტინე: კრიზისის საფრთხე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში: საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე გასატარებელი ღონისძიებები არსებული მდგომარეობის დასაძლევად, 2001 წლის მესამე-მეოთხე კვარტალი

კუიპერი, პიტერ: ამსტერდამის ხელშეკრულების თანახმად სავიზო პოლიტიკის, თავშესაფრისა და საიმგრაციო საკითხების „კომუნიტარიზაცია“ და შენგენის ქვეყნების სამართლის შემოღებასთან დაკავშირებული ზოგიერთი სამართლებრივი პრობლემა, 2000 წლის პირველი-მეორე კვარტალი

ლაფაჩი, ქეთევან: მონოპოლიური ქცევის კონტროლის მექანიზმების სრულყოფის საკითხისათვის, 2001 წლის მეორე კვარტალი

ლამიძი, ზიგფრიდ/სულაქველიძე, დავით: საქართველოს სამართლებრივი სისტემის განვითარების საფუძვლები 1994 წლიდან, 1998 წლის პირველი კვარტალი

ლამიძი, ზიგფრიდ/ნიკლაური-ლამიძი, ელენე: დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ჩამორთმევის ზომები, 2001 წლის მეორე კვარტალი

ზიგლიოზრაფია

ლამიძი, ზიგფრიდ/ნიკლაური-ლამიძი, ელენე: ორგანიზებული დანაშაული და მასთან ბრძოლის სისხლის სამართლებრივი საშუალებები უახლესი გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, 1998 წლის მეოთხე კვარტალი

ლამიძი, ზიგფრიდ: ადვოკატურა გერმანიაში, 1999 წლის მესამე კვარტალი

ლიბერისი, ნიკოლაუს: ადგილწარმოშობის დასახელებები, წარმოშობის აღნიშვნები და გეოგრაფიული აღნიშვნები, 2000 წლის პირველი-მეორე კვარტალი

ლილუაშვილი, თენგიზ: გაკოტრების საქმის წარმოება საქართველოს ახალი კანონმდებლობის მიხედვით, 1998 წლის პირველი კვარტალი

ლილუაშვილი, თენგიზ: საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1998 წლის მეოთხე კვარტალი

მარიამიძე, ია: საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი და მისი მნიშვნელობა საქართველოს საერთაშორისო თანამეგობრობაში ინტეგრაციის პროცესისათვის, 1998 წლის მეოთხე კვარტალი
მასბაუმი, მაიკ ს.: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესები და ვებგვერდის თაობაზე – მიმოხილვა, 1998 წლის მეორე-მესამე კვარტალი

მასბაუმი, მაიკ ს.: საქართველოსა და ევროპულ კავშირს შორის დადებული შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, 1999 წლის პირველი-მეორე კვარტალი

მაურერი, ანდრეას: გადაწყვეტილების მიღების ეფექტურობისა და მოქმედების უნარიანობის ზრდა ნიკაში დადებული ხელშეკრულების შედეგად: ხმათა უმრავლესობით მიღებულ გადაწყვეტილებათა გამოყენების ახალი სფეროები, 2001 წლის მეორე კვარტალი

მელქაძე, ოთარ: საარჩევნო სამართალი: ყურადსაღები პარალელები, 2000 წლის მესამე-მეოთხე კვარტალი

მელქაძე, ოთარ: საპრეზიდენტო მმართველობის პრობლემები, 2000 წლის პირველი-მეორე კვარტალი

მელქაძე, ოთარ: საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის კონსტიტუციურობის საკითხისთვის, 2001 წლის მეორე კვარტალი

ნანობაშვილი, ლევან: კომპიუტერული პროგრამების სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, 2001 წლის მესამე-მეოთხე კვარტალი

ოვსიანიკოვა, ნუნუ: წინადადებები თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო დეკლარაციების წამდვილობის გადამოწმების შესახებ, 2001 წლის მესამე-მეოთხე კვარტალი

პაპუაშვილი, გიორგი: საპრეზიდენტო სისტემა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში: საქართველოს მაგალითი, 1999 წლის მესამე კვარტალი

პაპუაშვილი, გიორგი: ლუსტრაციის მექანიზმები ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში და მისი დანერგვის პერსპექტივები საქართველოში, 2000 წლის მესამე-მეოთხე კვარტალი

პოლმანი, კრისტოფერ: ადამიანის უფლებებისადმი მიმართვა მათი დაძლევის მიზნით, 1999 წლის მეოთხე კვარტალი

პოლმანი, კრისტოფერ: ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში კვლევების ზოგიერთი პერსპექტივა, 2001 წლის პირველი კვარტალი

ჟლენტი, მამუკა: ევროპული გაერთიანების საგარეო ურთიერთობანი, 1999 წლის მესამე კვარტალი
ჟლენტი, მამუკა: ექსტრადიციის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების სამართლებრივი მიმოხილვა, 2001 წლის მესამე-მეოთხე კვარტალი

სახოკია, დავით: საქართველოს კანონი „ნავთობისა და გაზის შესახებ“ და ნავთობის საერთაშორისო ინდუსტრიის გამოცდილება

სვანიძე, ერიკ: წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის, ან დასჯის აღკვეთის შესახებ ევროპული კონვენცია და მისი ადგილი ევროპის საბჭოს ფარგლებში შექმნილი ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სისტემაში, 2000 წლის პირველი-მეორე კვარტალი

სირაძე, ეკა: ტვირთის საზღვაო გადაზიდვა – საქართველოს არჩევანი, 2000 წლის მესამე-მეოთხე კვარტალი

ბიბლიოგრაფია

- სმიტერი, ედი დე:* ევროპული კავშირის სამართლის უახლესი მიღწევები: ამსტერდამის ხელშეკრულება, 1998 წლის პირველი კვარტალი
- ტუშური, ალექსანდრე:* მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია – ისტორიის, სტრუქტურისა და განვითარების პროცედურის მიმოხილვა, 1998 წლის მეორე-მესამე კვარტალი
- ტუშური, ალექსანდრე/ურჯუმელაშვილი, ტატო:* საქართველოს კანონი მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ, 2000 წლის პირველი-მეორე კვარტალი
- უოტერსი, კრისტოფერ/სმიტი, ანეკე:* კანადური ფედერალიზმი და მისი უზენაესი სასამართლო: მიზანშეწონილობა საქართველოსთვის, 2000 წლის მესამე-მეოთხე კვარტალი
- ფაფიაშვილი, ლალი:* ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, 1999 წლის მეოთხე კვარტალი
- ფაფიაშვილი, ლალი:* ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მინიმალური პროცესუალური გარანტიები, 2001 წლის მესამე-მეოთხე კვარტალი
- ფუტკარიძე, იაკობ:* უსასყიდლო ხელშეკრულებები ქართულ სამართალში, 2001 წლის მეორე კვარტალი
- შაფაქიძე, ირაკლი:* საერთაშორისო არბიტრაჟი: სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო ინსტიტუტი, 1998 წლის მეოთხე კვარტალი
- შენგელია, რომან:* ჩუქების ხელშეკრულება, 2001 წლის პირველი კვარტალი
- შტენი, იურგენ:* სუბსიდიები, საკომპენსაციო ბაჟი და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია: ნაბიჯი ღია სუბსიდიების კლუბისაკენ, 1998 წლის მეორე-მესამე კვარტალი
- ჩოხელი, ნინო/კერესელიძე, დავით:* გარემოსათვის საშიში საქმიანობით გამოწვეული ზიანისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხი ქართულ კანონმდებლობაში, 2000 წლის პირველი-მეორე კვარტალი
- ცაცანაშვილი, მარიამ:* პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სამართლებრივი პრობლემები, 1998 წლის მეოთხე კვარტალი
- ცაცანაშვილი, მარიამ:* ინფორმაციის ცნება, 1999 წლის მესამე კვარტალი
- ცისკაძე, მარიამ:* ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა, 1999 წლის პირველი-მეორე კვარტალი
- ნკრიალაშვილი, გიორგი:* უნსიტრალის მოდელური კანონის როლი საერთაშორისო კერძო არბიტრაჟის განვითარების საქმეში, 1999 წლის პირველი-მეორე კვარტალი
- ჭანტურია, ლადო:* გირავნობა ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, 1999 წლის პირველი-მეორე კვარტალი
- ჭანტურია, ლადო:* უძრავი ნივთების გამოყენება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად – იპოთეკა, 1999 წლის მეოთხე კვარტალი
- ხაბურძანია, ვალერიან:* სუვერენიტეტის პრობლემის ზოგიერთი საკითხისათვის, 1999 წლის პირველი-მეორე კვარტალი
- ხეცურიანი, ჯონი:* სიკვდილით დასჯა ქართულ სამართალში, 1999 წლის პირველი-მეორე კვარტალი
- ხოფერია, ნინო:* დისპოზიციურობა საქართველოს ახალი სამოქალაქო მატერიალური და საპროცესო სამართლის მიხედვით, 1998 წლის პირველი კვარტალი
- ხუბუა, გიორგი:* ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, 1999 წლის მეოთხე კვარტალი
- ჯანაშია, ჯემალ:* საერთაშორისო ნარკობიზნესი – ტრანსნაციონალური დანაშაული და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის საკითხები, 2001 წლის პირველი კვარტალი
- ჯანაშია, ჯემალ:* ნარკოტიკებზე საერთაშორისო სამართლებრივი კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება, 2001 წლის მესამე-მეოთხე კვარტალი
- ჰილიონი, კრისტოფერ:* ევროპულ კავშირსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ახლად დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის პარტნიორობის ინსტიტუციონალური ასპექტები რუსეთისა და უკრაინის მაგალითზე, 2000 წლის მესამე-მეოთხე კვარტალი